ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120343891**
თარიღი: **08/12/2020**
პინი: **8021**

ადრესატი: თამაზ ქოქოსაძე
პირადი ნომერი: 01008017751
მისამართი: თბილისი ზაქარია ფალიაშვილის ქ. N 43 ბ. 44

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო თამაზ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 04.12.2020 წლის №01203391926-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.10.008.001; 01.11.10.008.202)გაერთიანებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი პოზიცია, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი:№01.11.10.008.001; 01.11.10.008.202) გაერთიანებასთან დაკავშირებით.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთებზე სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია სამშენებლოდ გამოყენების პირობები(ს/კ №01.11.10.008.001 - № 2261527; 29/10/2015- კოეფიციენტის მომატება მერის ბრძანება №4398; 11.12.2015) (ს/კ №01.11.10.008.202- № 4664209; 11/09/2019), შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვები, სადაც მოცემული ნაკვეთების 01.11.10.008.001; 01.11.10.008.202 გაერთიანების შემდგომ საჭიროა იქნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

51712980833418

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180196925

რეგისტრაციის თარიღი

26.02.2018 წ

ნოტარიუსი: ლელა ინწკირველი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდაექვს თებერვალს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუს ლელა იმწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა _ ბატონმა **გიორგი მგელაძემ** (დაბადებული 19.08.1945 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის ქუჩა №43, ბინა №12, პირადი №01009008738).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მან განაცხადა, რომ:

ა) იგი არის **შპს „მირაქსის"** (რეგისტრირებული 01/12/2015 წ. საიდენტიფიკაციო №400157879, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ო. ხიზანიშვილის ქ., №108) დირექტორი და მოქმედებს ამ საზოგადოების სახელით;

ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას სურს, სპეციალური უფლებამოსილება მიანიჭოს **ნიკოლოზ მგელაძესა** (დაბადებული 27.07.1983 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის ქუჩა №43, ბინა №12, პირადი №01008019928) და **თამაზ ქოქოსაძეს** (დაბადებული 18.11.1982 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №43, ბინა №44, პირადი №01008017751).

გიორგი მგელაძემ მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **გიორგი მგელაძის** უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „მირაქსის" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მიმზადების თარიღი: B17120035, 31/10/2017 16:46:01);

2) შპს „ბიდლის" (შემდგომში „მირაქსის") წესდება (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 30.11.2015 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №608).

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

1. **გიორგი მგელაძემ** (დაბადებული 19.08.1945 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის ქუჩა №43, ბინა №12, პირადი №01009008738), როგორც **შპს „მირაქსის"** (რეგისტრირებული 01/12/2015 წ. საიდენტიფიკაციო №400157879, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ო. ხიზანიშვილის ქ., №108) დირექტორმა, **ნიკოლოზ მგელაძესა** (დაბადებული 27.07.1983 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის ქუჩა №43, ბინა №12, პირადი №01008019928) და **თამაზ ქოქოსაძეს** (დაბადებული 18.11.1982 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №43, ბინა №44, პირადი №01008017751), რომელთაგან თითოეული

შემდგომში მოხსენიებული როგორც „მწმუნებული", მიანიჭა **შპს „მირაქსის"** (რეგისტრირებული 01/12/2015 წ. საიდენტიფიკაციო №400157879, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ო. ხიზანიშვილის ქ., №108) (რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მარწმუნებელი") სპეციალური რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

ითითეული რწმუნებული უფლებამოსილია, მეორე რწმუნებულისაგან დამოუკიდებლად/მისგან განცალკევებით შეასრულოს **შპს „მირაქსის"** (რეგისტრირებული 01/12/2015 წ. საიდენტიფიკაციო №400157879, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ო. ხიზანიშვილის ქ., №108) დირექტორის სრული უფლებამოსილება მარწმუნებლის წესდებით დადგენილი შემზღუდავი ნორმების დაცვით.

2. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში თითოეული რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით მარწმუნებლის სახელით:

ა) დადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის გარიგება, მათ შორის, უძრავ-მოძრავ ქონებასთან (ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ფართების, მიწის ნაკვეთების ჩათვლით, მაგრამ არა მხოლოდ) დაკავშირებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის _ გახმოვნების, ვალდებულებებით დატვირთვის, იჯარის/ქირავნობის, აღწერის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, გაცვლის, **გირავნობის, თავდებობის, იპოთეკისა** და სხვა ნებისმიერი სახისა და შინაარსის გარიგებები ნებისმიერი ფორმით (ელექტრონული და საქაღალდო აქტებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით), ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მათში, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი, განსაზღვროს ყველა გარიგების შინაარსი, შეასრულოს გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებით;

ბ) შეასრულოს გადასახადის გადამხდელის უფლება-მოვალეობები, განაცხადოს მარწმუნებლის კუთვნილი ნებისმიერი სახის საჭიროება (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებები, სხვა ნებისმიერი სახისა და ოდენობის საჭიროება) და ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო ოპერაცია;

გ) რეგისტრაციას დაექვემდებარებული უძრავ-მოძრავი ნივთები (ავტოსატრანსპორტო საშუალებები, უძრავი ქონება და სხვა) მარწმუნებლის საკუთრებად აღრიცხოს მარეგისტრირებელ ორგანოში, მარწმუნებლის ყველა სახის უფლება და ვალდებულება (მათ შორის, გირავნობა, იპოთეკა და სხვა) დაარეგისტრიროს მარეგისტრირებელ ორგანოში; ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო ოპერაცია;

დ) მარწმუნებლის სახელითა და მარწმუნებლისათვის საქართველოს ნებისმიერ რეზიდენტ ბანკში, გახსნას/დახუროს ნებისმიერი სახის სანაწყო ანგარიში მათ შორის ინტერნეტ ბანკი, მიიღოს დიდი ჰასი ინტერნეტ ბანკის გადარიცხვებისთვის და სხვა (საანგარიშსწორებო, სადეპოზიტო და სხვა), მარჯის/განკარგოს ეს ანგარიშები და ის ანგარიშები, რომელიც/რომლებიც გახსნილია წინამდებარე აქტის დამოწმებამდე, შეასრულოს ნებისმიერი სახის სანაწყო ოპერაცია (თანხის გადარიცხვა, თანხის შეტანა და გამოტანა ნაღდი სახით და სხვა), მოუხედავად ანგარიშისა და ვალუტის სახისა, მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის ინფორმაცია ამ სანაწყო ანგარიშების შესახებ (ამონაწერები და სხვა), შეასრულოს დოკუმენტალური ოპერაციები (სანაწყო გარანტია, აკრედიტივი, ინკასო და სხვა), დადოს დოკუმენტალურ ოპერაციებთან დაკავშირებული გარიგებები/ხელშეკრულებები, უზრუნველყოფის (გირავნობა, იპოთეკა, თავდებობა...) ხელშეკრულებები/გარიგებები, განაცხადები, შეიტანოს მათში ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება, დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი პირობები და შინაარსი, აგრეთვე დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების მიზნით განკარგოს მარწმუნებლის ფულადი სახსრები.

ე) მარწმუნებელი სრული უფლებამოსილებით წარმოადგინოს სასამართლოში (საქმის მორიგებით დასრულების, სასამართლოს ყველა აქტის გასაჩივრებისა და საქმის ზემდგომ ინსტანციაში საქმის წარმოების, სარჩელის აღიარების/ცნობის, სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრის უფლების, სარჩელის გამოთხოვის/სარჩელზე უარის თქმის, საქმის მორიგებით დასრულების და ნებისმიერი საპროცესო უფლების, აგრეთვე სააღსრულებო დაწესებულებაში შეუზღუდავი უფლებამოსილებით (სააღსრულებო დაწესებულებაში საქმის შეუზღუდავად წარმოების უფლებით);

ვ) შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც აქ არ არის კონკრეტულად მითითებული, მაგრამ რისი შესრულების უფლებაც/ვალდებულებაც აქვს მარწმუნებლის დირექტორს და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილებების ჩამონათვალს აქვს სანიმუშო და არა ამომწურავი ხასიათი.

მუხლი 2. უფლებამოსილების გადაწდობის შესახებ

1. რწმუნებულს უფლება აქვს, უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივი გადასცეს მესამე პირს.

მუხლი 3. ინფორმირების ვალდებულების შესახებ

1. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადის შესახებ

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

მუხლი 5. აქტის ძალმოსილების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან."

დანართები:

I. წინამდებარე აქტის ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „მირაქსის" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17120035, 31/10/2017 16:46:01);

II. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

2) შპს „ბიდლის" (შემდგომში „მირაქსის") წესდება (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 30.11.2015 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №608).

აქტის ეგზემპლარები

წინამდებარე აქტი შედგენილია 5 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლი):

ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 11.80 ლარი (ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი; დღგ: 1.80 ლარი);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ლარი (ღღგ-ს ჩათვლით);

სულ: 13.80 ლარი.

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებლის წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი შპს „მირაქსი"
(წარმომადგენელი _ დირექტორი **გიორგი მგელაძე**)

ნოტარიუს ლელა იმწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე